

ჩინეთში გიგანტური ჰაერის გამწმენდი ამუშავდა



ჩინეთის ქალაქ სიანში, სატესტო რეჟიმში გიგანტური ჰაერის გამწმენდი მონცობილობა ამუშავდა. სისტემა 100-მეტრიანი კოშკია. მისი შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მას მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს.

სისტემა თბოერექტრო სადგურის ხარჯზე მუშაობს. კოშკის შიგნით, როდესაც ჰაერი მასში ხვდება, სხვადასხვა სახის ფილტრის ბარიერებს გადის. სიანი ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია. სისტემის ამუშავების შემდეგ, სპეციალისტების თქმით დაბინძურებული ჰაერი 10 მილიონი კუბური მეტრით შემცირდება.

ეკოლოგიაზე სამხრეთ ამერიკაშიც ზრუნავენ, აქ კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაგავსაყრედი დაიხურა. ბრაზილიის მთავრობის გადაწყვეტილებით, ტონობით ნაგავს გადაამუშავებენ და მისგან აირის, საწვავი სითხის ან მყარ ნივთიერებათა წარმოებას დაიწყებენ. ნაგავსაყრედე ყოველდღიურად 1,000 ტონა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები იყრებოდა.

„ქალაქის ღია ჭრილობა, რომელიც ადგილობრივების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის“, - ასე შეაფასეს ბრაზილიის ოფიციალურმა პირებმა დასახლებული ობიექტის სიახლოვეს ნაგავსაყრედის არსებობა.

ცნობილია, რომ ნაგვის გადამამუშავებელ საწარმოში გადასატანად ადგილობრივები დასაქმდნენ. მიუხედავად შემოსავლის წყაროს გაჩენისა, დასაქმებულები ჩივიან, რომ მათი ანაზღაურება მიზერული, სამუშაო კი – რისკის შემცველია.